



**დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნა  
“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის  
პროექტზე**

*ლალი ბაქრაძე*

“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი რამდენიმე მიზანს ისახავს. ცვლილებები მე-7 და 22-ე მუხლში შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების საკითხებს, ხოლო მეორმოცე მუხლის ცვლილება დაკავშირებულია მშობლების უფლებების დაცვასთან.

1. მოსწავლეების ზოგადი განათლების დასაფინანსებლად, შესაბამისი კანონით შემოღებულ იქნა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერი. მოსწავლეზე მიბმულ დაფინანსებას თავისი სერიოზული დადებითი მომენტები აქვს. ამ ტიპის დაფინანსება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მრავალკონტიგენტიანი სკოლების განვითარებას. იგი კარგად მოქმედებს კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებაზე დიდ ქალაქებსა და დასახელებულ პუნქტებში. საქართველოს გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე მაღალმთიანი დასახლებული პუნქტების სკოლების უმრავლესობა იმდენად მცირეკონტიგენტიანია, რომ არსებული ვაუჩერით დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას. არსებული სიტუაცია ამცირებს ვაუჩერული დაფინანსების ეფექტიანობას. მართალია “ზოგადი განათლების შესახებ კანონის” მეშვიდე მუხლი ასევე ითვალისწინებს გაზრდილი ვაუჩერებით დაფინანსების შესაძლებლობასაც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია ისიც არასაკმარისი აღმოჩნდეს.

დასკვნისთვის წარმოდგენილი კანონპროექტის დადებით მომენტად პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დაფინანსების საკითხებში მეტი სიცხადის შეტანა. “ზოგადი განათლების შესახებ” კანონის მეშვიდე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებში შეტანილი ცვლილება ზრდის მცირეკონტიგენტიანი და შესაბამისად მცირე ბიუჯეტიანი საჯარო სკოლებისათვის დაფინანსების წყაროებს და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით დაფინანსების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების დამატებითი წყარო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასეთ სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.

2. “ზოგადი განათლების შესახებ” კანონის 22-ე მუხლის მეხუთე პუნქტის ამჟამად მოქმედი ნორმის თანახმად საჯარო სკოლის კაპიტალური ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ. ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საჯარო სკოლების დიდი უმრავლესობისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობების ძალზედ შეზღუდული შემოსავლების ფონზე, თვითმმართველობების მხრიდან სკოლების კაპიტალური ხარჯების დაფინანსება არარეალურია ან ეს დაფინანსება სიმბოლური ხასიათის იქნება. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ დაფინანსების ძირითადი წყარო მაინც ცენტრალური ხელისუფლება იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასევე მნიშვნელოვანია 22-ე მუხლის მეხუთე პუნქტით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის კაპიტალური ხარჯების დაფინანსების ახალი შესაძლებლობების მიცემა. წარმოდგენილი ცვლილებით საჯარო სკოლებს მიმდინარე ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენების უფლება ეძლევათ. აღნიშნული ცვლილება უდავოდ დადებითი ხასიათისაა. იგი ხელს შეუწყობს საჯარო სკოლის ბიუჯეტის გონივრულ ხარჯვას და ზოგადად სკოლის ქმედუნარიანობის ამაღლებას.

3. მეორმოცე მუხლი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს ეხება. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს მოსწავლის გადასვლა შემდეგ საფეხურზე. რაც ნიშნავს მაგალითად, რომ მეცხრე კლასელი მოსწავლის მშობელს მისი შვილის მეათე კლასში გადასვლასთან დაკავშირებით უნდა შეუწყდეს სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწყებითი და საბაზო საფეხურების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მშობლების სამეურვეო საბჭოს წევრად არჩევას აზრი ეკარგება. ცხადია, მხოლოდ რამდენიმე თვით სამეურვეო საბჭოს წევრობა ხელს არ უწყობს ამ ფუნქციის სრულყოფილად განხორციელებას. ამ მხრივ უკეთეს პირობებში არიან სხვა, არადამამთავრებელი კლასის მოსწავლის მშობლები. გარდა აღნიშნულისა სამეურვეო საბჭოში ხშირი ცვლილების განხორციელება დადებითად არ იმოქმედებს მის ფუნქციონირებაზე. “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის მიერ მეორმოცე მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტით შემოთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს სკოლის სამეურვეო საბჭოს მდგრადობას, თანაბარ პირობებში ჩააყენებს სკოლის მოსწავლეთა მშობლებს. თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო ყველას თანაბარ პირობებში ჩაყენება მაინც შეუძლებელია. სამეურვეო საბჭოში მე-12 კლასელის მშობლის არჩევა ცხადია შესაძლებელია, მაგრამ ზემოხსენებული პრობლემები დაძლევა (მოკლე ვადით არჩევის არაეფექტურობა, საბჭოს შემადგენლობის ხშირი ცვლილება) კი შეუძლებელია.

4. ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული ყველა ცვლილებების მიღება ხელს შეუწყობს სასკოლო საქმიანობის გაუმჯობესებას.